საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5601
23/09/2022

5601-21-2-202209231853

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

თქვენი 2022 წლის 14 სექტემბრის №2-08/14427 (სააგენტოში რეგისტრაციით №4872) წერილის პასუხად, რომელიც ეხება აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის გზის მონაკვეთის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადების წარმოდგენას, ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელი ოძისის მიმდებარედ გამონამუშევარი ქანების დასაწყობების მიზნით, გაცნობებთ შემდეგს:

„აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის გზის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის №2-1093 ბრძანებით გაცემულ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაზე თანდართული 2015 წლის 29 დეკემბრის №75 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების თანახმად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მშენებლობის დაწყებამდე უნდა უზრუნველყოს გამონამუშევარი ქანების განთავსებისთვის შერჩეული ტერიტორიის შეთანხმება.

გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაზე თანდართული 2015 წლის 29 დეკემბრის №75 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მიზნით, თქვენი 2018 წლის 12 ნოემბრის №2-12/13381 წერილით წარმოდგენილი, 1194760 $მ^3$ გამონამუშევარი ქანების ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელი ოძისის მიმდებარედ განთავსებისათვის შერჩეულ 99713 $მ^2$ ტერიტორიასთან დაკავშირებით 2018 წლის 27 ნოემბრის №10303/01 წერილით გეცნობათ რომ სამინისტროს შენიშვნები არ გააჩნდა.

თქვენ მიერ სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი, 500000 $მ^3$ გამონამუშევარი ქანების დასაწყობების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელი ოძისის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 69.04.52.820; 78773 $მ^2$) შერჩეული ნაწილი (50471 $მ^2$) ემთხვევა სამინისტროს მიერ 2018 წლის 27 ნოემბრის №10303/01 წერილით შეთანხმებული სანაყაროს ადგილმდებარეობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, უზრუნველყოთ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაზე თანდართული 2015 წლის 29 დეკემბრის №75 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მიზნით, ფუჭი ქანების სანაყაროს განახლებული პროექტის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო